

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

İVANE JAVAKHISHVILI TIFLIS DEVLET ÜNİVERSİTESİ
ULUSAL BİLİM KÜTÜPHANESİ

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENCE LIBRARY

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМЕНИ ИВАНЭ
ДЖАВАХИШВИЛИ
НАЦИОНАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biyo-bibliyografik Seri "Gürcü Bilim Adamları"
Biobibliographical Series "Georgian Scholars"
Биобиблиографическая Серия "Грузинские Ученые"

Sergi Cikia

(1898-1993)

Biyo-Bibliyografiya

Sergi Jikia

(1898-1993)

Biobibliography

Сергей Джикия

(1898-1993)

Биобиблиография

Tbilisi
2020

სერგი ჭიქია

(1898-1993)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2020

012 (ჯიქია, ს) + 016 : 821.512.16

ჯ 543

ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ სერიით „ქართველი მეცნიერები“, განმეორებით გამოსცა გამოჩენილი ქართველი თურქოლოგის, აკადემიკოს სერგი ჯიქიას შევსებული და გადამუშავებული ბიო-ბიბლიოგრაფია. პირველად აკადემიკოს სერგი ჯიქიას ბიო-ბიბლიოგრაფია 1984 წელს გამოიცა. იგი თურქულად თარგმნა ილიას უსტუნერმა და 2014 წელს თურქეთში გამოაქვეყნა.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია 1915-2018 წლების მასალა. მასში შესულია სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული, მისი რედაქციით გამოცემული შრომები, თარგმანები, ლიტერატურა ს. ჯიქიას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგის მიხედვით. ბიო-ბიბლიოგრაფია წინ უძღვის ს. ჯიქიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საძიებლები და ფოტომატჩიანე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი თარიღები და ს. ჯიქიას შრომები ოთხენოვანია (ქართული, თურქული, ინგლისური, რუსული).

The National Science Library with series “Georgian Scientists” released the 2nd re-edition of the bio-bibliography of famous Georgian Turkorologist, academician Sergi Jikia. The bio-bibliography first was published in 1984. It was translated into Turkish by Ilya Ustyunier and published in 2014 in Turkey.

The present work is composed of the material of 1915-2018. It includes scientific-research, scientific-popular editions of his works, translations, literature, and the material about Jikia's life and scientific work.

The material is placed in chronological alphabetical order. Bio-bibliography is preceded by a brief overview of S. Jikia's scientific and public work, basic dates of his life and work. Alphabetical indexes of geographical names and photographic chronicles are also attached to it.


A brief overview of scientific-pedagogical and public activities, basic dates and Jikia's works are in four languages (Georgian, Turkish, English, and Russian).

შემდგენლები: ია დუდუჩავა, ანა ტივაძე
რედაქტორები: ირაკლი ღარიბაშვილი, მარიკა ჯიქია
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი – მარიკა ჟორჯოლიანი
დამკაზადონებელი – ნათია დვალი
გარეკანის დიზაინი: ნინო ხოსრუაშვილი

Compilers: **Ia Duduchava, Ana Tivadze**
Editors: **Irakli Gharibashvili, Marika Jikia**
Bibliographic editor – **Marika Zhorzholiani**
Prepress: **Natia Dvali**
Cover Design: **Nino Khosruashvili**

ISBN

ISSN: 2298-0059



სარჩევი

აკადემიკოსი სერგი ჯიქია (სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)	9
Akademik Sergi Cikia (Bilimsel-Pedagojik ve Sosyal Faaliyetlerine Genel Bakış).....	24
Academician Sergi Jikia (A brief review of his scholarly, educational and public activities)	37
Академик Сергей Симонович Джикия (Краткий обзор научно-педагогической и общественной деятельности).....	50
ს. ჯიქიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	62
S. S. Cikia'nın Hayatının ve Faaliyetlerinin Temel Tarihleri.....	65
Basic Dates of Life and Creative Activity of S. Jikia	67
Основные даты жизни и деятельности С. С. Джикия.....	70
სერგი ჯიქიას შრომები	73
Sergi Cikia'nın Çalışmaları.....	73
Sergi Jikia's Works.....	73
Труды Сергея Джикия.....	73
სერგი ჯიქიას თარგმანები	169
Sergi Cikia Tarafından Yapılan Çeviriler	169
Translations by S. Jikia.....	169
Переводы Сергея Джикия.....	169
სერგი ჯიქიას რედაქციით გამოცემული შრომები	170
Sergi Cikia'nın Redaksiyonunda Yayımlanan Çalışmalar	170
Works Edited by Sergi Jikia.....	170
Труды изданные под редакцией Сергея Джикия	170
სერგი ჯიქია – სარედაქციო კოლეგიებისა და სხვადასხვა კომისიის წევრი.....	177
Sergi Cikia –Yayın Kurulu ve Komisyonu Üyesi.....	177
Sergi Jikia – Member of the Editorial Boards and Various Commissions	177

Сергей Джикია – Член редакционных коллегий и других комиссий	177
ლიტერატურა სერგი ჯიქიას შესახებ.....	189
Sergi Cikia Hakkında Literatür	189
Publications about Sergi Jikia	189
Литература о Сергей Джикия	189
საიუბილეო თარიღები	228
S. Cikia'nın Yıldönümü Tarihleri	228
Jubilee Dates	228
Юбилейные Даты	228
მასალები გარდაცვალების შესახებ.....	239
Ölüme İlişkin Materyaller	239
Materials About Death.....	239
Кончина	239
სახელთა საძიებელი.....	240
İsimlerin Dizini	240
Name of Indexes	240
Указатель Имен.....	240
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....	248
Coğrafi Ad Dizini	248
Geographical Indexes	248
Указатель Географических Имен	248
ფოტოარქივი.....	251
Fotoğraflar	251
Photo Archive	251
Фотоархив	251

აკადემიკოსი სერგი ჯიქია

(სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი სერგი ჯიქია არის თურქული ფილოლოგიისა და დიპლომატიკა-პალეოგრაფიის პრობლემური და კერძო საკითხების, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხების ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი.

კლასიკურმა ორიენტალისტიურმა განათლებამ, არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკითხის დასმამ და სათანადო მეცნიერულ დონეზე დამუშავებამ, დიდმა პედაგოგიურმა ნიჭმა და თბილმა ადამიანურმა თვისებებმა სერგი ჯიქიას, უაღრესად მოკრძალებულ პიროვნებას, დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოუპოვა როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელ სპეციალისტებს შორის.

სერგი ჯიქია დაიბადა 1898 წლის 20 ოქტომბერს მარტვილის რაიონის სოფ. ონოღიაში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. ონოღიის სამრევლო სკოლაში, 1913 წელს კი სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში. სასწავლებლის 4 კლასის დამთავრების შემდეგ გადაიყვანეს სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1917 წელს თბილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიად გადაკეთდა.

სემინარია-გიმნაზიაში ს. ჯიქიას ასწავლიდნენ ვასილ ბარნოვი, იპოლიტე ვართაგავა, თედო სახოკია. 1919 წელს, გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჯერ ისტორიის, მეორე კურსიდან კი ენათმეცნიერების განხრაზე. უნივერსიტეტში მან მოისმინა ქართული, ქართველური და არაბული ენები აკაკი შანიძესთან, ფონეტიკა და ზოგადი ენათმეცნიერება – გიორგი ახვლედიანთან, საქართველოს ისტორია – ივანე ჯავახიშვილთან, ქართული მწერლობის ისტორია – კორნელი კეკელიძესთან. სტუდენტობის წლებში (1921-1923 წწ.) მუშაობდა ქართული დივიზიის ნივთსაწყობის მოანგარიშედ. 1923 წელს მუშაობა დაიწყო „თბილისის უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქციაში კორექტორად. უნივერსიტეტი დაასრულა 1924 წელს.

1926 წელს აკ. შანიძის წარდგინებით ს. ჯიქია დატოვეს თურქულ ფილოლოგიაში „პროფესორობისათვის მოსამზადებლად“. 1927 წელს კვლავ აკ. შანიძის თაოსნობით იგი მიავილინეს სტამბოლის უნივერსიტეტში თურქული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. იქ ორი წელი ინტენსიურად მუშაობდა და ისმენდა ცნობილი მეცნიერების მ. ფ. ქოფრულუს, რ. ჰულუსის, ა. ექრემის, ა. რეფიკისა და სხვათა ლექციებს; სტამბოლის სიძველეთსაცავებში ამუშავებდა ოსმალურ-საენათმეცნიერო და საისტორიო წყაროებს. ამავე დროს აკვირდებოდა სტამბოლში მცხოვრები ლაზების მეტყველებას და იწერდა მათ მონათხრობს.

ფუად ქოფრულუს სემინარებზე მუშაობის დროს დაუახლოვდა შემდეგში ცნობილ მწერალსა და მეცნიერს ორჰან შაიქ გიოქაის (Orhan Şaik Gökyay).

სტამბოლში ჩასვლისთანავე ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში შეხვდა ფრანგ ენათმეცნიერს ჟ. დიუმეზილს, რომელიც ლაზების მეტყველებას აკვირდებოდა. ბატონი სერგი დაუახლოვდა პროფ. დიუმეზილის ლაზ ინფორმატორებს. იწერდა მათი მეტყველების ნიმუშებს. სტამბოლში ჩაწერილი ტექსტები 1936 წელს დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას წიგნში „ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“. ლაზურის მიმართ მეცნიერული ინტერესი ს. ჯიქიას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

ს. ჯიქიას თურქოლოგიურ განათლებას რუსულ ორიენტალისტურ სკოლაში სრულყოფის ბედნიერებაც ხვდა წილად.

იგი თურქეთიდან დაბრუნებისთანავე გაიგზავნა ლენინგრადში, სადაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტად ჩაირიცხა. ასპირანტურის წლებში მას მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა აკად. ა. სამოილოვიჩი. მუშაობდა ვ. ბარტოლდის, ნ. მარისა და ი. მემჩანინოვის სემინარებში. ასპირანტურის წლებშივე (1930 წ.) მიიწვიეს თურქული ენის დოცენტად (დოცენტის წოდება მინიჭებული ჰქონდა სსრკ ცენტრალური საატესტაციო კომიტეტის დადგენილებით) ჯერ ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1931 წელს კი ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტშიც. 1932 წელს დაასრულა ასპირანტურის კურსი და დაიწყო მუშაობა პირველი თანრიგის მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. პარალელურად აგრძელებდა ლექციების კითხვას უნივერსიტეტში და

ხელმძღვანელობდა თურქული ენის შემსწავლელთა წრეს ლენინგრადის მეცნიერთა სახლში. თბილისს დაუბრუნდა 1936 წელს. ჩამოსვლისთანავე დაინიშნა უნივერსიტეტის ჯერ აღმოსავლურ ენათა, 1945 წლიდან კი თურქოლოგიის კათედრის გამგედ. იგი იყო თურქოლოგიის კათედრის დამაარსებელი და პირველი გამგე (1973 წლამდე), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნის თავკაცთაგანი და მისი პირველი დეკანი (1945-1952 წწ.). ს. ჯიქია ამასთანავე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ენების განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1946 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მეორედ მიენიჭა დოცენტის წოდება. 1956 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და მაშინვე მიენიჭა პროფესორის წოდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის დღიდან (1960 წ.) ს. ჯიქია ხელმძღვანელობდა თურქოლოგიის განყოფილებას. იყო საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების კომისიის თურქულენოვანი სერიის რედაქტორი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ თურქოლოგთა საბჭოთა კომიტეტის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის, მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი ორი საბჭოს წევრი.

სერგი ჯიქიას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა.

ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-თურქული ენობრივი და ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, აზერბაიჯანულისა და ანატოლიური თურქულის აღმოსავლური დიალექტები, ოსმალური ენის ისტორიის საკითხები, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების, ქრესტომათიებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, ლაზური ტექსტების გამოქვეყნება და თურქულ-ლაზური ენობრივი კონტაქტების დადგენა, განსაკუთრებით კი საქართველოსა და საერთოდ კავკასიის შესახებ ისტორიული ცნობების შემ-

ცველი ოსმალური საარქივო მასალების – ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების პუბლიკაცია-კომენტირება, ოსმალური პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმო-კა წარმოადგენდა აკად. სერგი ჯიქიას სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად სფეროს.

ს. ჯიქიას პირველი მეცნიერული ნაშრომი ეხებოდა X-XI სს. ფსალმუნს. ეს იყო სადიპლომო შრომა სათაურით „წრფელობითი ბრუნვის ხმარება „დავითნის“ უძველეს ხელნაწერში“.

სამხრეთ საქართველო XVI ს-ში ოსმალებმა დაიპყრეს და დამპყრობელთა ძალმომრეობის გამო მოსახლეობის ერთი ნაწილი გამაჰმადიანებასთან ერთად ენობრივადც გათურქდა. ს. ჯიქია 1926-27 წლებში სწავლობდა მესხეთის ქართული მოსახლეობის თურქულ მეტყველებას, იწერდა ტექსტებსა და ავლენდა მათ ენობრივ თავისებურებებს. ს. ჯიქიას მიერ ადგილზე შეგროვილი ენობრივი მასალა და მისი ანალიზი უკვე ისტორიული მნიშვნელობისაა. მესხეთის ქართველი მოსახლეობის თურქული მეტყველება იყო სერგი ჯიქიას საკანდიდატო დისერტაციის თემა. სამცხე-ჯავახეთიდან აყრილი მოსახლეობა გაფანტეს ყაზახეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. მათი შთამომავლები დღესდღეობით თურქეთის რესპუბლიკაშიც ცხოვრობენ და თავიანთ თავს შეცდომით ახალციხელ თურქებს უწოდებენ. სინამდვილეში ისინი მაჰმადიანი ქართველები არიან. სერგი ჯიქიას დაკვირვებების გაუთვალისწინებლად დღეს შეუძლებელია ახალციხიდან გადასახლებული თურქულენოვანი მაჰმადიანი ქართველების მეტყველების სწორი ანალიზი. ამის დასტურია ჯერ კიდევ 1978 წელს ფ. ფ. Алиев-ის მიერ გამოცემული ნაშრომი: “Очерки по лексике языка турок (sic!) Казахстана” (Алма-Ата).

ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა იმთავითვე ორი გზით წარმართეს მუშაობა: 1) საკუთრივ აღმოსავლური ენების, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების დამუშავება და 2) ქართველ და აღმოსავლეთის ხალხებს შორის არსებული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების გამოვლენა-შესწავლა. აკად. ს. ჯიქიამ ქართულ-თურქული ენობრივი მასალისა და ოსმალური დოკუმენტური თუ ნარატიული წყაროების საფუძველზე დაადგინა და სკრუპულოზურად შეისწავლა ეს კონტაქტები. მან გამოავლინა, ერთი მხრივ, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვების ქართულში შემოსვლის გზები

და დრო, მეორე მხრივ, ქართული ენობრივი სუბსტრატის ფაქტები დაადასტურა აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში. ს. ჯიქიას სტატიებით – „კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში“, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის“, „შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ“, „О грузино-азербайджанских языковых взаимоотношениях“, „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან“ (I და II წერილი), „აღმოსავლური წარმოშობის ზოგიერთი სიტყვის განმარტება“ და სხვა. გაირკვა, რომ თურქულსა და აზერბაიჯანულში ქართულიდან შესულია ძირითადად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ტერმინები, როგორცაა გუთანა, მოდგამი, თოხი, მარგილი, ჭაჭა, ტლავარი, მელისკუდი, ჭინჭარი, ჭალა და ა.შ. თურქული „ლაზუტ“ (ლაზური მცენარე) სიტყვის ეტიმოლოგიის საფუძველზე ს. ჯიქიამ აჩვენა, რომ ანატოლიის თურქებს სიმინდის კულტურა ქართველური ტომისაგან, ლაზებისაგან, გადაუღიათ.

აზერბაიჯანულიდან და თურქულიდან ქართულში მეტწილად შემოსულა მეცხოველეობასთან, მეთევზეობასა და კულინარიასთან დაკავშირებული ტერმინები. ამგვარად იკვეთება მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ისტორიულად ერთს უფრო განვითარებული და სრულყოფილი ჰქონდა, ვიდრე მეორეს.

ს. ჯიქიამ საგანგებოდ შეისწავლა XVII ს-ის ცნობილი თურქი მოგზაური ისტორიკოსის, ევლია ჩელების, ცნობები მეგრულისა და ქართლის, ლაზებისა და ლაზურის შესახებ. აქ სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გაამახვილა მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე – ქართული მჟღერი ხმულები თურქულში გადმოიცემა სათანადო რიგის ყრუ თანხმოვნებით, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქართული მჟღერი ხმულები დაბალი ხარისხის მჟღერობის არიან.

ამ ნაშრომებში გამოწვლილვითაა შესწავლილი და ზუსტად დადგენილი ქართული და თურქული ენების ბგერობრივი შესატყვისობების კანონზომიერებანი.

ქართული ისტორიული გეოგრაფია დიდად არის დავალებული აკად. ს. ჯიქიას გამოკვლევებითა და შენიშვნებით. მან ახსნა უამრავი ტოპონიმი სამხრეთ საქართველოს რეგიონიდან, მოახდინა მათი ლოკალიზაცია და იდენტიფიკაცია.

ს. ჯიქიას მეცნიერული ინტერესების სფეროში მუდამ იყო კავკასიის სხვადასხვა ხალხების კულტურისა და ისტორიის საკითხები.

მან შეისწავლა თურქული ლექსემების შემცველი სომხური გვარები. სპეციალური სტატია მიუძღვნა 1897 წელს შედგენილ რუსულ-ყარაჩაულ ლექსიკონს. (“Об одном рукописном русско-карачаевском словаре”), წარმოაჩინა ძეგლის მნიშვნელობა ყარაჩაული ენის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების მეცნიერულ შესწავლაში.

ს. ჯიქიას თანამშრომლობითა და რედაქციით ორჯერ გამოიცა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული მოკლე ლექსიკონები. მისი ინიციატივით, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა დაიწყეს ვრცელი თურქულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე მუშაობა, რომელიც ღია ჩლაიძის რედაქტორობით ორ ტომად გამოიცა 2001 წელს და მიეძღვნა აკად. სერგი ჯიქიას ხსოვნას.

როგორც უნგრელი თურქოლოგი გ. ხაზაი წერდა, „ს. ჯიქიას სამეცნიერო მოღვაწეობამ ჩვენი ცოდნა თურქოლოგიის მრავალ დარგში განავრცო და გააღრმავა. მეცნიერება მას უნდა უმადლოდეს, სხვა თემებთან ერთად, ქართული ტრანსკრიპციით გადმოცემული თურქული ტექსტების აღმოჩენას და მის შესწავლაში პირველი ნაბიჯის გადადგმას“. საქმე ეხება XVIII საუკუნეში შედგენილ ქართულ-თურქულ სასწავლო წიგნს. ძეგლი თანაბრად საინტერესოა როგორც ქართული, ისე თურქული ენის ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის შესასწავლად. შეიცავს მეტად საყურადღებო მასალას ორივე ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის. ს. ჯიქიამ ნათელყო, რომ „თურქულისათვის უფრო მოხერხებული ანბანით (ჩვენს შემთხვევაში – ქართულით) ტრანსკრიბირებული თურქული ტექსტები მეტად საყურადღებო და სანდო მასალას იძლევა ისტორიული ფონეტიკის მრავალი შეუსწავლელი საკითხის გასაშუქებლად“.

ქართველური ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეცნიერის შრომები თურქულ-ლაზურ ენობრივ ურთიერთობათა შესახებ. XVI ს-დან ლაზური მოსწყდა ქართულს, სვანურსა და ზანურის მეგრულ დიალექტს. ლაზები კარგა ხანია ორენოვნები გახდნენ. ბუნებრივია, ლაზურში ბევრი თურქიზმია. თურქულის გავლენა რამდენადმე გრამატიკულ წყობაშიც შეინიშნება. ს. ჯიქიამ საგანგებოდ შეისწავლა თურქული ლექსიკური და სინტაქსური კალკები ლაზურში, გამოავლინა თურქული ლექსიკა, დაადგინა თურქული ბგერების რეფლექსები ლაზურში და საერთო

სათაურით „თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან“ სხვადასხვა დროს დაბეჭდა შრომები.

მნიშვნელოვანია ს. ჯიქიას ერთი ზეპირი დაკვირვება: ცნობილია, რომ ქართულ /ვრ/-ს მეგრულში /რვ/ შეესაბამება: ქართული *გრილი* – მეგრული *რგილი*, ხოლო ქართულისეულ /ვ/ ხმოვანს მეგრულში /ა/ ენაცვლება: ქართული *ერთი* – მეგრული *ართი*. აქედან გამომდინარე, ქართულ *ეგრ*- ძირს მეგრული *არგ*- შეეფარდება. ძველ ქართულში ხმოვნით დაწყებული ტოპონიმების შემთხვევაში წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა *მ-ელ*- ცირკუმფიქსი: აწყურის მკვიდრი *მ-აწყვერ-ელ-ი* იყო, აჩაბის ბინადარი კი – *მ-აჩაბ-ელ-ი*. ამდენად, *ეგრ*-(ის)ში მცხოვრების სახელწოდება *მ-ეგრ-ელ-ი* მეგრულადაც კანონზომიერი წარმოებაა: *მ-არგ-ალ-ი*. ბერძნული მორფოტაქტიკის კვალობაზე, ის, ვინც კოსმოსისკენ ილტვის, კოსმონავტი, ვინც ვარსკლავეთში გაემგზავრება – ასტრონავტი, ვინც წყლის ფენომენს იკვლევს – აკვანავტი. ვინც ოქროს საწმისს ეძიებს და ამ მიზნით არგების ქვეყანაში მიემართება, *Αργοναυτες* არგონავტი გამოდის. კოლხების სამკვიდრებელი ადგილის სახელს *Αργα-*ს ემატება *ναυτες*. ეს ვარაუდი იმთავითვე გაიზიარეს აკად. შ. ნუცუბიძემ, პროფ. ა. ურუშაძემ, აკად. თ. გამყრელიძემ.

ს. ჯიქია ჯერ კიდევ სტამბოლში ყოფნისას ეძიებდა და ამუშავებდა საქართველოს შესახებ ცნობების შემცველ ოსმალურ ქრონიკებსა და გეოგრაფიულ თხზულებებს. მათი პუბლიკაცია მოგვიანებით, 40-იან წლებში, დაიწყო ცალკეული სტატიების სახით – „იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ“, „ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში“, „ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი“, „ეპიზოდი XVI ს. საქართველოს ისტორიიდან“, „ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობიდან 1588-1590 წლებში“, „ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან“ და სხვ. ჩამოთვლილმა ნაშრომებმა ობიექტური ცნობებით გაამდიდრეს ჩვენი ისტორიოგრაფია XVI-XVIII სს. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიის შესასწავლად, სიმონ ქართლის მეფის, გიორგი სააკაძის, ლევან და ვამეყ დადიანების, ალექსანდრე და სოლომონ იმერთა მეფეების და სხვათა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დასადგენად.

1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების

კომისია, რომელიც 1970 წლიდან გაფართოვდა და საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიად გადაკეთდა. ს. ჯიქია იყო თურქულენოვანი წყაროების სერიის რედაქტორი. ამ სერიაში გამოიცა 1964 წ. მეცნიერის ნაშრომი „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“. წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ოსმალთაგან სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული პროვინციების დაპყრობის ისტორია, თბილისში ოსმალთა გარნიზონის ჩაყენება. თურქულ ტექსტს ახლავს ქართული თარგმანი შესავლითა და შენიშვნებით. ნაშრომის გამოქვეყნებით ქართული ისტორიოგრაფიის განკარგულებაში აღმოჩნდა უცნობი ფაქტების შემცველი მდიდარი მასალა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. წიგნს მაღალი შეფასება მისცეს როგორც საბჭოთა, ისე ევროპელმა ორიენტალისტებმა.

თურქული ნარატიული თხზულებები და ისტორიული დოკუმენტები პირველხარისხოვანი წყაროა ოსმალეთის იმპერიის მიერ დროებით თუ ხანგრძლივად დაპყრობილი ხალხების ისტორიისათვის. მაგრამ ბევრი მათგანი შესრულებულია დივანისა და სიაკათის, ამოსაკითხავად მეტად რთული, კრიპტოგრაფიული ხელით. ცნობილი მედიევისტი ანა ტვერიტინოვა წერდა: „თურქული დოკუმენტების წაკითხვა და თარგმნა წარმოადგენს სამუშაოს ყველაზე რთულ ნაწილს, რაც, როგორც ცნობილია, ბევრ ისტორიკოსს აფრთხობს“. ს. ჯიქიას წყალობით კი ქართული ისტორიოგრაფიის განკარგულებაშია უამრავი ოსმალური საარქივო მასალა და წერილობითი ძეგლი, გაშიფრული ფილიგრანული ხელოვნებით, დიდძალი დოკუმენტური, ისტორიულ-ლიტერატურული და ფოლკლორული მასალის მოხმობით. ს. ჯიქია ზედმიწევნით ზუსტ თარგმანს ურთავდა ვრცელ კომენტარებს. კომენტარები არ იფარგლება ისტორიული პირებისა და მოვლენების, ტოპონიმებისა და სოციალურ-ეკონომიკური ტერმინების ახსნა-განმარტებით. იგი იძლევა წყაროს სრულ პალეოგრაფიულ და დიპლომატიკურ ანალიზს, განსაზღვრავს მის ენობრივ თავისებურებებს.

ს. ჯიქია წლების მანძილზე ამუშავებდა და აწესრიგებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა (ყოფილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება. ახლა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ ოსმალურ დოკუმენტურ მასალას. მან აღ-

წერა სხვადასხვა ფორმულარის 700-ზე მეტი თურქულენოვანი დოკუმენტი, განსაზღვრა რაობა და შეადგინა კატალოგი. მას ეკუთვნის ჩვენს სიძველეთსაცავებში შემონახული ოსმალთა სულთნებისა და ფაშების მიერ საქართველოს მეფე-დიდებულებისადმი გაცემული ფირმანების, ბერათებისა და ბუიურულთუების (ბრძანებების) პირველი მეცნიერული პუბლიკაცია (იხ. „მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ“, „XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი“, „ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ“, „სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს“, „მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში“). ეს დოკუმენტები საუკეთესო წყაროა ოსმალური სამხედრო ლენური სისტემის საკითხების შესასწავლად, თურქეთ-საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულების დასადგენად, ირან-ოსმალეთის ურთიერთობის დასაზუსტებლად, ამ ურთიერთობის ფონზე, „საქართველოს საკითხის“ გამოსაყოფად.

ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი პირველწყაროა ს. ჯიქიას მიერ გამოცემული ოსმალური ჰუჯათები (ამონაწერები სასამართლოს გადაწყვეტილებათა დავთრებიდან). მეცნიერის კვლევის არეში მოექცა თურქული ეპიგრაფიკული ძეგლებიც. მან ამოიკითხა ოლთისის მეჩეთის ქტიტორული წარწერები ასლან ფაშისა (1666, 1659 და 1670 წლები), გამოაქვეყნა 1739 წლის ბაგრატის ტაძრის ეზოში ნაპოვნი ლაპიდარული წარწერა.

სტატიაში, სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილია გრაფ კუტაისოვების, ეკატერინე II-ის, პავლე I-ის ფავორიტების გენეალოგია (მათი წარმომავლობა ენციკლოპედიებში დღემდე არასწორადაა წარმოდგენილი).

ფუნდამენტური ნაშრომი, რომელმაც ს. ჯიქიას საერთაშორისო მასშტაბით მოუპოვა „უმაღლესი რეპუტაციის თურქოლოგის სახელი“ (მ. გუბოგლუ), არის XVI ს-ში ოსმალთა მოხელეების მიერ ფისკალური მიზნით შედგენილი დოკუმენტის – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ პუბლიკაცია და მეცნიერული ანალიზი. 1941 წელს გამოვიდა „დავთრის“ ქართული თარგმანი – წიგნი II, 6 წლის დაგვიანებით – დავთრის თურქული ტექსტი, წიგნი I, 1958 წელს კი წიგნი III – გამოკვლევა: 1. ხელნაწერი აღწერილობა; 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. დღემდე გამოუქვეყნებელია მეოთხე წიგნი (ტერმინთა განმარტებები). ძეგლი შედგენი-

ლია 1595 წელს; დაწვრილებითაა აღწერილი თურქთაგან დაპყრობილი და გურჯისტანის ვილაიეთად სახელდებული მესხეთი, ჯავახეთი, არტაანი, ჩილდირი/ჩრდილი, კოლა და ტაოს ნაწილი. დოკუმენტი უტყუარი წყაროა ამ მხარის ეკონომიკის (აღნიშნულია თითოეულ სოფელზე გაწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა, ჩამოთვლილია გადასახადის სახეობები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელები და რაოდენობა, ღირებულება, სარწყავი სისტემით სარგებლობის წესები), ისტორიული გეოგრაფიის (დასახელებულია ყველა სოფელი, ნასოფლარი, ეკლესია, ციხე, ტბა, მდინარე თუ საყანე), ონომასტიკისა და ეთნიკური შედგენილობის (დასახელებულია გადასახადის გადამხდელ პირთა და ოჯახის უფროსთა სახელი, მამის ან ძმის სახელი, მამის სახელს ხშირად ცვლის ხელობის აღნიშვნა), ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, ოსმალური დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის ძირითადი საკითხების შესასწავლად. სიაკათის ხელით დაწერილი ტექსტის გაშიფვრა მოითხოვდა ზედმიწევნით ზუსტსა და მრავალმხრივ ცოდნას, მდიდარ გამოცდილებასა და უტყუარ მეცნიერულ აღღოს. ამ სირთულის გამო იყო, რომ საადრიცხვო დავთრებიდან სცემდნენ ფრაგმენტებს, ნებისმიერად შერჩეული მონაკვეთის მხოლოდ თარგმანებს (შდრ. A. Szilady, Fr. Steltzer, A. Veilics). სერგი ჯიქია პირველი თურქოლოგია, რომელმაც გამოაქვეყნა „დავთრის“ როგორც თურქული ტექსტი, ისე თარგმანი მთლიანად. „ამის გამო – წერდა ცნობილი თურქოლოგი ლაიოშ ფეკეტე – ს. ჯიქიას გამოცემა ყველას შრომაზე მაღლა დგას“. (Acta Orientalia Hungaricae. VII, 1, ბუდაპეშტი, 1957, გვ. 2), იმავეს შენიშნავდა ჰაზიმ შაბანოვიჩი (იუგოსლავია) – „ეს არის თურქული საკადასტრო წიგნის პირველი კომპლექსური გამოცემა თარგმანთან ერთად“. თურქული დავთრების პუბლიკაციასა და დამუშავებაში ს. ჯიქიას პრიორიტეტს ხაზს უსვამენ აკადემიკოსები ა. კონონოვი და თ. გამყრელიძე – „ს. ჯიქიამდე ვერავინ ბედავდა ვრცელი დავთრის ამოკითხვასა და მეცნიერულ გამოცემას. ადრე არსებობდა ანალოგიური დოკუმენტების მხოლოდ თარგმანები, ორიგინალის კრიტიკული ტექსტის პუბლიკაციის გარეშე. მოგვიანებითაც კი, სერგი ჯიქიას მიერ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ გამოცემის შემდეგ, გამოქვეყნდა დავთრების მხოლოდ თარგმანები, სიაკათის ხელით დაწერილი თურქული ტექსტის წაკითხვისა და პუბლიკაციის გარეშე“ (Советская тюркология, 1978, № 5, გვ. 109).

ს. ჯიქიას მიერ გამოცემული „დავთარი“ გახდა სანიმუშო წიგნი „დავთარებზე“ მუშაობის მოსურნე თურქი თუ ევროპელი სპეციალისტებისათვის. აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი ს. ჯიქიას შრომების შეფასებისას წერდნენ: „ს. ჯიქიას გამოცემა გოცებას იწვევს და მიზამვის სურვილს აღძრავს“.

აკადემიურად გამართულ ტექსტსა და მის ზუსტ „კომპეტენტურ თარგმანს“ ს. ჯიქიამ დაურთო მრავალპლანიანი გამოკვლევა, რომელიც სპეციალისტებმა „სინიდიისის წვეთებით დაწერილ შრომად“ აღიარეს. მასში უპირველესად ამომწურავადაა ძეგლი შესწავლილი კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, შემდეგ კი დეტალურადაა განხილული 1400-ზე მეტი ტოპონიმი. აღდგენილია სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის თავდაპირველი ქართული სახე, დროთა მსვლელობაში შერყვნილი და გადასხვაფერებული. დადგენილია იმ გეოგრაფიული პუნქტების მდებარეობა, რომლებიც ავბედიითი ისტორიული ვითარების გამო დღეს აღარ არსებობენ. საისტორიო წყაროების, ხალხური სიტყვიერებისა და თქმულებების, დიდძალი საარქივო მასალის, გეოგრაფიული რუკების, მოგზაურთა ჩანაწერებისა და ექსპედიციების დროს ადგილზე ჩაწერილი მონაცემების ფრთხილი მეცნიერული ანალიზის შედეგად „დავთარში“ ფიქსირებული გეოგრაფიული პუნქტები იდენტიფიცირებულია ამჟამად ცნობილ ან ახლა არარსებულ, მაგრამ ისტორიულად დადასტურებულ სოფელთან თუ ნასოფლართან. მოცემულია თითოეული გეოგრაფიული პუნქტის ისტორია და სახელის ეტიმოლოგია. „ასეთი გამოკვლევა საისტორიო გეოგრაფიის დარგში საერთოდ ძალიან ცოტა მოიპოვება და იგი შეიძლება V. Minorski-ს ცნობილი შრომის Hudud - al-Alam-ის (ლონდონი, 1937) გვერდით მოთავსდესო“ – წერდა გ. წერეთელი (აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ, 1973, გვ. 11). გამოკვლევის მეორე ნაწილში ასევე დაწვრილებით არის განხილული „დავთარის“ ონომასტიკა და დადგენილია სამხრეთ საქართველოს ეთნიკური შედგენილობა, ფილოლოგიურ-ისტორიული თვალსაზრისით არის გარჩეული სოციალურ-ეკონომიკური და დიპლომატიკური ტერმინები. შესწავლილია ძეგლის პალეოგრაფიული თავისებურებანი, დადგენილია ის კანონზომიერებანი, რომლითაც ქართული საკუთარი სახელები არის გადმოცემული თურქულ ტრანსკრიფციაში, სრულადაა გამოვლენილი ქართული და თურქული ენების ბგერობრივი ურთიერთმიმართება. შენიშნულია თურქული ენის ის-

ტორიის თვალსაზრისით არა ერთი საყურადღებო ფაქტი მორფოლოგიიდან და ლექსიკიდან. ლ. ფეკეტეს აზრით „თავისი მნიშვნელობით ს. ჯიქიას შრომა სცილდება საკუთრივ საქართველოს ფარგლებს. თურქული „თაჰრირი“ (აღწერა), რომელიც საქართველოს ეხება, შეიძლება სახელდობრ შედარებულ იქნეს ახლა უნგრეთის პროვინციის ნებისმიერ „თაჰრირთან“, რის წყალობითაც კვლევა თურქეთის იმპერიის ან მისი ერთმანეთისგან დაშორებული პროვინციების ისტორიისათვის განკარგულებაში მიიღებს ფასეულ პარალელებსა და დამატებით მასალას“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სამი წიგნი საეტაპო ნაშრომი გახდა ოსმანისტიკაში, საქართველო-თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობათა საკითხების კვლევაში. იგი საფუძვლად დაედო უამრავ ნაშრომს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. „დავთარში“ აღბეჭდილი ტერმინთა და ცნებათა განმარტებები ცალკეულ პუბლიკაციებში შევიდა. მათ გამოქვეყნებას ს. ჯიქია მეოთხე წიგნად ვარაუდობდა.

აქტიური ცხოვრების ბოლო 15 წელი ს. ჯიქიამ იმუშავა ოსმალთა მოხელეთა მიერ 1728 წელს შედგენილ თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის 1046 გვერდზე შედგენილი ტექსტის დადგენასა და ქართულად თარგმნაზე. ამოუკითხავი დარჩა ე.წ. „სინორები“, საყანე, სავენახე ადგილების სახელები, ანუ მიკროტოპონიმები. მათ დადგენას ადგილზე მისვლის გარეშე შეუძლებლად თვლიდა.

2009-2010 წლებში პროფ. ნოდარ შენგელიამ ორ ტომად გამოსცა „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თავფურცელზე წერია: „ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ“. ამ პუბლიკაციაში ოსმალური ტექსტის მხოლოდ ფაქსიმილეა, ს. ჯიქიას მიერ ამოკითხული და დადგენილი ტექსტის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, მაგრამ თარგმანში სრულად არის გათვალისწინებული მეცნიერის ღვაწლი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ს. ჯიქიას განკარგულებაში აღმოჩნდა მუსტაფა ალის „ნუსრეთ-ნამეს“ ვენური ნუსხა. ბატონმა სერგიმ გამართა ვენური ხელნაწერის ოსმალური ტექსტი და თარგმნა ქართულად. ნაშრომი ისე შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომ დღემდე დაუბეჭდავია. ინახება მის პირად არქივში, რომელიც დაცულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, საქმე № 7.

თურქოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჩვენში ს. ჯიქიამ შექმნა. მან საქართველოში გადმოიტანა პეტერბურგის ცნობილი ორიენტალისტური სკოლის სახელოვანი ტრადიციები. მუშაობა, როგორც იტყვიან, სრულიად „ცარიელ ადგილზე“ დაიწყო, მაგრამ ორი ათეული წლის შემდეგ მრავალი სპეციალისტი მოამზადა თურქოლოგიის ყველა დარგში. ს. ჯიქიას მიჰყავდა საუნივერსიტეტო კურსი თურქულ, აზერბაიჯანულ და ყუმუხურ ენებში; თურქულ ლიტერატურაში, დიალექტოლოგიასა და ფოლკლორში. თურქული ენების შესწავლის შესავალსა და თურქულ ენათა შედარებით გრამატიკაში, ოსმალურ დიპლომატიკასა და პალეოგრაფიაში. ავარჯიშებდა სტუდენტებს ოსმალური ტექსტების ამოკითხვასა და ქართულად თარგმნაში; უვითარებდა სამეცნიერო კვლევის ჩვევებს. აქ ყურადღება განსაკუთრებით მახვილდებოდა ქართულ-თურქული ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების საკითხებზე. ამასთანავე, მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 20-მა და სადოქტორო – 8 თურქოლოგმა; ოფიციალური ოპონენტობა გაუწია 22 პირს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ს. ჯიქია იყო საქართველოში დამუშავებული ყველა თურქოლოგიური ნაშრომის ხელმძღვანელი და რედაქტორი, ამავე დროს, საბჭოეთის თურქულენოვანი რესპუბლიკების ცხოვრებაში არ არსებობდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ს. ჯიქია არ გამოხმაურებოდა ღრმადმეცნიერული წერილებითა თუ პოპულარული საჯარო გამოსვლებით.

ს. ჯიქიამ მოხსენებები წაიკითხა აღმოსავლეთმცოდნეთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე ტამკენტში, თურქოლოგთა საკავშირო სესიებზე ბაქოსა და თბილისში; ორიენტალისტთა 25-ე მსოფლიო კონგრესზე მოსკოვში. 1959 წელს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ვარშავის უნივერსიტეტის მიწვევით აკად. გ. წერეთელთან ერთად კითხულობდა მოხსენებებს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, პოლონეთის ორიენტალისტთა ასოციაციაში, ვარშავისა და კრაკოვის უნივერსიტეტებში.

აკადემიკოს ს. ჯიქიას იწვევდნენ თურქოლოგთა და ალთაისტთა ყველა საკავშირო და საერთაშორისო შეკრებაზე; ბატონი სერგი იშვიათად ტოვებდა თავის სამუშაო მაგიდას, მაგრამ ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ორიენტალისტურ კერებში მომუშავე კოლეგებთან. ასაკოვანი მეცნიერი ახალგაზრდული სილა-

ლით უნაწილებდა ყველას თავის ენერგიასა და საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით ისედაც გადატვირთულ დროს.

ს. ჯიქია სანიმუშო პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პედაგოგიურ საქმიანობას. არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც მას ლექცია გაეცდინა. უბრალოდ და ნათლად გასცემდა დიდ ცოდნას. აჩვენებდა სტუდენტს სპეციალობაში აზროვნებას. ამასთანავე ს. ჯიქიას პიროვნება ყველა მისი მოწაფისათვის იყო მაღალი მოქალაქეობის, ჭეშმარიტი მეცნიერისა და საუკეთესო პედაგოგის თვალსაჩინო მაგალითი.

ს. ჯიქია პედაგოგის საპატიო მოვალეობად სახელმძღვანელობის შედგენას მიიჩნევდა. ჯერ კიდევ 1935 წელს ჰ. წოვიკიანის, ჰ. ჯევედეთაძესა და ა. კონონოვის თანაავტორობით შეადგინა თურქული ქრესტომათია ლენინგრადის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის მესამე და მეოთხე კურსელთათვის, საქართველოში კი ორჯერ გამოიცა ს. ჯიქიას მიერ შედგენილი თურქული ქრესტომათია, პირველად 1965 წელს – ორ ნაკვეთად, მეორედ – 1971 წელს. მეცნიერმა შესაბამის სპეციალისტებთან თანამშრომლობით ქართული ენის სახელმძღვანელოები შეადგინა საქართველოში არსებული აზერბაიჯანული სკოლებისათვის. ამ სახელმძღვანელოებს მანვე დაურთო ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონები.

ს. ჯიქია დიდი პატივისცემითა და ყურადღებით ეკიდებოდა მასწავლებლებისა და კოლეგების მეცნიერულ მემკვიდრეობას. ამის დადასტურებაა სტატიები: „აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში“ (გ. წერეთლის თანაავტორობით), „პროფ. ლეონ მელიქსეთბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (დაბადების 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო), “Из истории польского востоковедения” (к 60-летию со дня рождения акад. А. А. Зайончковского), “Об ученых трудах ираниста” (о научной деятельности В. С. Пугуридзе), „მეგობრის ხსოვნას“ (აკად. გ. წერეთლის გარდაცვალების გამო), „აკაკი შანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (დაბადების 80 წლისთავის გამო), „აკადემიკოს ანანიამ ზაიონჩკოვსკის (1903-1970) გახსენება“, “О диалектологической работе по тюркским языкам в Грузинской ССР”, „თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“ და სხვა. მათში დადგენილია აღმოსავლეთმცოდნეთა ადგილი და მნიშვნელობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებაში და წარმოჩენილია თანამშრომელთა მიღწევები.

ინტენსიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პირობებში ს. ჯიქია დროდადრო თარგმნიდა და აქვეყნებდა თურქული ხალხური სიტყვიერებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებსაც.

სერგი ჯიქიას შრომებს დრომ ვერაფერი დააკლო. ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ მისი ყველა ნაშრომი კვლავ აქტიურად ეხმიანება ეპოქის მნიშვნელოვან გამოწვევებს.

ბატონი სერგის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები იღვწიან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის, გორის, თელავის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში; სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ეწევიან მუზეუმებსა და არქივებში; ჩართული არიან ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის პროცესებში.

მადლიერმა შთამომავლობამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა აკად. სერგი ჯიქიას დაბადებიდან 75, 80, 85, 90, 95, 100, 110 და 120 წელი.

პროფ. ცისანა აბულაძე

Akademik Sergi Cikia

(Bilimsel-Pedagojik ve Sosyal Faaliyetlerine Genel Bakış)

Sovyet Dönemi Gürcistan'ı Bilimler Akademisi üyelerinden S. S. Cikia Türk Filolojisi, Osmanlı diplomasisi, paleografi, Yakın Doğu ve Kafkasya halklarının tarihi ve kültürel ilişkileri alanında uzmanlığıyla öne çıkmıştır.

Onun büyük şevki, üstün araştırma kabiliyeti, pedagojik ve insanlık düzeyi Sergi Cikia'ya büyük bir otoritenin yanısıra Sovyet ve yabancı bilim dünyasının sempatisini kazandırmıştır.

Çarlık rejiminde dünyaya gelen Sergi Cikia hayatının büyük çoğunluğunu Sovyet rejiminde geçirmiş ve bağımsız Gürcistan'ın ilk yıllarına da tanık olmuştur. 20 Ekim 1898'de Gürcistan'ın Martvili ilçesinin Onoğia köyünde çiftçi bir ailenin çocuğu olarak dünyaya gelmiş ve 1993 yılında başkent Tiflis'te yaşamını yitirmiştir. Öğrenimine Onoğia köyündeki iki yıllık dini okulda başlayan Cikia, 15 yaşına geldiğinde Tiflis'teki Tiflis İlahiyat Okulu'nun üçüncü sınıfına yazılmıştır. Dördüncü sınıftan sonra, 1917'de Sekizinci Erkek Gimnazyumu'na çevrilecek olan Tiflis İlahiyat Semineri (alan okulu)'ne katılmıştır. Cikia, 1919 yılında Gimnazyumu altın madalya ile bitirdikten sonra Tiflis Üniversitesi'nin Beşeri Bilimler Fakültesi'nin önce tarih bölümünde öğrenimine başlamış ikinci sınıftan itibaren de dilbilim bölümüne geçmiştir. Üniversite yıllarında A. G. Şanidze'nin verdiği Arap dili, Gürcü dilleri, Gürcüce derslerine, G. S. Ahvlediani'nin sesbilim, genel dilbilim derslerine katılmış, İ. A. Cavahişvili'den tarih okumuş, K. S. Kekelidze'nin yürüttüğü Gürcü edebiyatı derslerini izlemiştir. 1921-23 yıllarını kapsayan üniversite yıllarında Gürcü Bölümü'nün eşya deposunda sayman olarak çalışmıştır. 1923 yılında "Tiflis Üniversitesi Haberleri" adlı bilimsel dergide düzeltmen olarak çalışmaya başlamış, aynı yıl Gürcistan Dilbilim Derneği'ne üye seçilmiştir. 1924 yılında üniversiteden mezun olmuştur.

Türk filolojisi alanında yetiştirilmek amacıyla hocası A. G. Şanidze'nin desteğiyle 1926 yılında üniversitede araştırma görevlisi olarak çalışmaya başlamıştır. 1927 yılında Şanidze'nin inisiyatif ve desteğiyle Türkoloji alanında uzmanlığını geliştirmek amacıyla İstanbul Üniversitesi'nin Edebiyat Fakültesi'ndeki Türk Dili ve Edebiyatı Bölümü'ne gönderilmiştir. İstanbul'da kaldığı iki yıl boyunca M.F.Köprülü, R. Hulusi, A.

Ekrem, A. Refik vb. ünlü hocalardan dersler almış ve Osmanlı dilbilim ve tarihi kaynakları üzerinde kapsamlı çalışmalar yürütmüştür. İstanbul'a gelişinde İstanbul'daki Gürcü Katolik Kilisesi'nde Lazca üzerine çalışan dilbilimci G. Dumezil ile karşılaşmıştır¹ İstanbul'daki Lazların konuşma biçimlerini gözlemleyerek bunları kayıt altına almıştır.

Sergi Cikia, Türkiye'den döner dönmez Leningrad'a gönderilerek Sovyet Bilimler Akademisi'nde doktora başlamıştır. Tez çalışmasını A. N. Samoyloviç'in denetiminde sürdürmüş, V. V. Barthold, N. Y. Marr ve İ. Meşcaninov gibi dönemin önde gelen Türkologların seminerlerine katılmıştır. Doktora yıllarında (1929) Leningrad Devlet Üniversitesi'ne davet edilmiş, ertesi yıl (1931) Leningrad Üniversitesi'nde Yaşayan Doğu Dilleri Enstitüsü'ndeki Türk Dili Kürsüsüne doçent (doçentlik unvanı Sovyet Birliği Merkez Seçim Komitesi'nin Kurumlar ve Öğrenim Bölümü Uzmanlık Komisyon Komitesi tarafından verilmiştir) olarak atanmıştır. 1932 yılında doktorasını tamamlayan S. Cikia Felsefe ve Dil Enstitüsü'ne birinci dereceli araştırma görevlisi olarak atanmıştır. Aynı dönemde üniversitede Türkçe dersleri vermiş ve Leningrad Araştırmacıları Evi'nde Türkçe Öğrenenler Derneği'nin yöneticiliğini sürdürmüştür. 1936'da Tiflis'e döndükten sonra Tiflis Üniversitesi Doğul Dilleri Kürsüsü'ne başkan olarak atanmıştır. Tiflis'e dönmesinde İvane Cavahişvili'nin kendisine yazdığı cevabî mektupta belirttiği, "...Tiflis'e dönseniz memnuniyetim daha bir artacaktır" ifadesi etkili olmuştur.² 1945'te, kendisinin kurucusu olduğu Türkoloji'nin başına getirilmiş ve 1973 yılına kadar bu görevi sürdürmüştür. Tiflis Üniversitesi'ndeki Doğu Bilimleri Fakültesinin kurucuları arasında yer alan Cikia, 1945'ten 1952'ye kadar söz konusu fakültenin dekanlığını yapmıştır. Aynı zamanda Gürcistan Bilimler Akademisi Yakın Doğu Dilleri Bölümü'nde kıdemli araştırmacı olarak çalışmalar yürütmüştür.

S. Cikia, 1946 yılında kandidat (doktora) tezini savunmuş ve kendisine ikinci kez doçent unvanı verilmiştir. 1956 yılında doktorluk (profesörlük) tezini savundu ve kısa bir süre sonra profesör olmuştur.

¹ Tsisana Abuladze (1999). "Akademik Sergi Cikia'nın Anısına", İ. Cavahişvili Devlet Üniversitesi, Filoloji Fakültesi, Enatmetsnierebis Sakithebi (Dilbilim Sorunları) I, Tbilisi, s. 125-140.

² Abuladze (1999), s. 127.

Sovyet Gürcistanı Bilimler Akademisi Giorgi Tsereteli Doğu Bilimleri Enstitüsü'nün 1960 yılındaki kurulduğu ilk günden beri buradaki Türkoloji Bölümü'nü yönetmiştir. Sovyet dönemi Gürcistan Bilimler Akademisi bünyesindeki Gürcistan Tarihinin Yabancı Kaynakları Komisyonu'nun üyeliğinde bulunmuş, aynı dönemde Gürcistan Bilimler Akademisi bünyesindeki Sovyet Türkologları Komitesi'nin üyeleri arasında yer almıştır. Sovyet Gürcü Ansiklopedisi ana redaksiyon heyetinde üyelik, Tiflis Devlet Üniversitesi Bilim Kurulları üyeliği, G. Tsereteli Doğubilimleri Enstitüsü, Sovyet Gürcistanı Bilimler Akademisi K. Kekelidze Elyazmaları Enstitüsü, ayrıca Filoloji Bilimleri Profesörlük ve Doktorluk Unvanı Verme Kurullarının üyeliklerindeki görevlerini başarıyla yerine getirmiştir.

S. Cikia, Sovyet Üst Komisyonu tarafından devlet nişanlarına, madalyalara layık görülmüş olup 190'den fazla bilimsel çalışmaya imza atmıştır. S. Cikia'nın ilk bilimsel çalışması sayılan diploma tezi "Davud'un Psaltırındaki Şekillenmemiş İsim Hali" başlığını taşımaktadır.

Cikia'nın bilimsel ilgi alanına Gürcü-Azeri dilleri, Gürcü-Türk dilleri tarihî-edebî ilişkiler, Türk dillerinin lehçebilimi (Doğu Anadolu ve Azerbaycan), Osmanlı Türkçesinin tarihî sorunları...vb. girmiştir. Cikia, Gürcüce-Türkçe; Türkçe-Gürcüce sözlükler, ders kitapları, metinler, Lazca metinlerin basılması çalışmalarını yürütmüş, Kafkasya'yı ve Gürcistan'ı genel olarak ilgilendiren Osmanlıca tarihi metinleri ve anlatı kaynaklarını yayımlamıştır. Türk dilinin tarihi, Türkçe-Lazcanın ilişkilerini ele almış, Osmanlı Paleografi-diplomasinin, Gürcü yerbilimi ve tarihi coğrafyasının önemli sorunlarını çalışmalarında işlemiştir.

S. Cikia, 1926-1927 ve 1931-1936 yılları arasında Meskheti'deki Gürcü ahalisinin Türk konuşmaları üzerine çalışmalar yapmıştır (16. yüzyılda Osmanlı'nın Güney Gürcistan'ı ele geçirmesiyle, burada İslam'ın kabulüyle beraber ahalinin bir kısmı dil değişimine uğramıştır). Cikia'nın burada toplamış olduğu dilsel materyaller ve bunların analizi büyük bilimsel önemi haizdir. Meskheti'deki Gürcü ahalinin Türkçe konuşmaları diğer ülkelerdeki, başta Orta Asya olmak üzere, Türkologların akademik ilgi alanına girmiştir. S. Cikia'nın söz konusu diyalekt üzerine yaptığı çalışmalar dikkate alınmadan bu alanda somut sonuçlara ulaşmanın olanaksızlığı (F. F. Aliyev'in 1978'de Almata'da basılan "*Kazak Türklerinin Sözlükbilimi Üzerine Çalışmaları*" adlı çalışmasını örnek olarak vermek yeterlidir) değişik çalışmalarda kendini ortaya koymaktadır.

Gürcü doğubilimciler işin başından itibaren çalışmalarını iki yönde yoğunlaştırmışlardır: 1. Doğu dillerinin, edebiyatlarının ve tarihinin sorunlarını özel olarak incelemek, 2. Gürcü halkıyla doğu halkları arasındaki kültürel-tarihi ilişkileri ortaya koymak. S. Cikia temelde Gürcü-Türk dillerinde kaleme alınan materyallere, Osmanlı belgelerine ve anlatı kaynaklarına dayanarak bu ilişkileri yetkin bir şekilde incelemiştir. Gürcü dilindeki doğu kökenli sözcükleri ortaya çıkarmış ve bu sözcüklerin Gürcüce'ye giriş zaman ve yollarını tespit etmiştir. Ayrıca, Türk dilinin Doğu Anadolu lehçelerindeki Gürcüce olgulara, Gürcüce substratlara (alt tabakaya) tanıklık etmiştir.

“Türk Dillerindeki Kolektif Emekle İlgili Gürcüce Bir Kavrama Dair”, “Lazut Sözcüğünün Kökenine Dair”, “Simindi-Semidali Üzerine Notlar”, “Gürcü-Azeri Edebiyatı İlişkilerine Dair”, “Doğu Kökenli Sözcüklerin Tarihi”, “Doğu Kökenli Bazı Sözcükler Üzerine Açıklama”...vb. Çalışmalarında Gürcü dilindeki Azerice-Türkçe, Farsça-Arapça sözcük birimleri; diğer taraftan da Türkçe ve Azerice'deki Gürcüce leksikolojik birimleri ortaya çıkarmıştır. Türkçe ve Azericeye giren Gürcüce ifadelerin genel olarak tarımla ilgili ifadeler olduğu tespit edilmiştir. Gürcü diline genel olarak Türkçe ve Azericeden hayvancılık, balıkçılık ve mutfak kültürüyle ilgili ifadeler girmiştir. Haliyle, dilsel ödünçlemeler, komşu ülkelerde tarım veya her hangi bir sektörün gelişmişliğini yansıtan olgular olmuşlardır.

S. S. Cikia, meşhur 17. yüzyıl Türk gezgini ve tarihçi Evliya Çelebi'nin Megrelce, Lazca ve Gürcüce'ye dair izlenimlerini ayrıntılı olarak analiz etmiştir. Gürcü dili için oldukça önemli olan, Gürcücedeki patlamalı ötümlüler Türkçe'de aynı sıranın sessiz ünsüzleriyle karşılanmakta olduğu gerçeğine dikkati çekmiştir. Türkçe ve Gürcücedeki ses uyumlarını ayrıntılı olarak “Gürcüce ve Türkçe'deki Ses Uyumlarının Yasaları” adlı çalışmasında ele almıştır.

Gürcü tarihî coğrafyasının S. Cikia'nın çalışmalarına çokşey borçlu olduğu bir gerçektir. O, Güney Gürcistan bölgesindeki bir çok yer ismini tanıtır kılmış, yerelleştirmiş ve tanımlamıştır.

Cikia'nın bilimsel ilgi alanı değişik Kafkas halklarının kültür, tarih sorunlarını da içermiştir. 1897'de hazırlanan Rusça-Karaçayca sözlüğü bağımsız bir makalede ele almış ve sözlüğü Karaçay bölgesinin etnografik ve tarihi sorunlarını bilimsel analizi bağlamında değerlendirmiştir. Cikia, Türk kökenli Ermeni aileleri incelemiş ve Ekmekçıyan, Çörekçıyan,

Demirçiyân, Arabacıyan, Yüzbaşıyan gibi Ermeni soyadlarının kökenleri üzerine çalışmalar yapmıştır.³

Venera Cangidze ile beraber Cikia Gürcüce-Türkçe ve Türkçe-Gürcüce Sözlükler hazırlamışlar ve bu çalışma iki kez basılmıştır. Macar Türkolog G. Hazai, “S. Cikia’nın bilimsel eylemleri Türkolojinin bir çok alanındaki görüşlerimizi geliştirmiştir. Diğer sorunların yanı sıra, bilim, Türkçe metinleri Gürcü transkripsiyonla verilerek ortaya konulmasını ve ilk kez bunların incelenmesini ona borçludur”⁴ demektedir. Burada söz konusu edilen *18. Yüzyılda Oluşturulan Gürcüce-Türkçe Ders Kitabı*’dır. Söz konusu çalışma hem Türk dillerinin hem de Gürcüce’nin tarihî leksikolojik, morfolojik, fonetik özelliklerini inceleme adına önem arz etmektedir. Ders kitabı, her iki dilin tarihî lehçebilim materyallerini içermektedir.

Cikia’nın genel dilbilim ve Gürcü dilleri açısından Türkçe-Lazca’nın etkileşimine atfedilen çalışmaları da haklı bilimsel öneme sahiptirler. Lazca, 16. yüzyıldan sonra Gürcüce’den, Svanca’dan, Megrelce’den kopmuştur. Lazlar çoktan iki dilli hale gelmişlerdir. Bu durum, Lazca’da bir çok Türkçe sözcüğün varlığını doğurmuştur. Lazca dilbilgisi üzerinde bir dereceye kadar Türk dilinin etkisi hissedilmektedir. S. Cikia, Türkçe leksikolojik ve söz dizimsel ifade kalıplarını, Türkçe sözcükbirimleri, Türkçe seslerin yansımalarını Lazca’da tespit etmiş ve mevcut verileri “*Türkçe-Lazca Dil İlişkileri*” adlı çalışma serisini değişik dergilerde yayımlamıştır.

S. S. Cikia’nın bir sözlü gözlemi ilgi çekicidir: Gürcüce’deki /gr/ harflerinin karşılığı Megrelce’de /rg/ harfleridir. Gürcüce *grili* (serin) Megrelce’de “*rgil*”dir, Gürcüce /a/ ünlüsü ise Megrelce’de /e/ ile değişmektedir: Gürc. *erti* (*bir*) – Megrel. “*Arti*” dir. Bundan dolayı Gürcüce *egr* - (Batı Gürcistan’ın Gürcüce adı Egrisi) kökünün karşılığı Megrelce “*arg*” köküdür. Eski Gürcücede insanların nereli olduğunu belirtmek için, ünlü ile başlayan yer adlarının başına ve sonuna bir seçenek olarak m---el “sirkumfiks”i (ön ve son eki) kullanılırdı: Açıba köyünün sakini Gürcücede- /*m-açab-el-il*/, Atskuri yerlisi ise /*m-ac’q’ver-el-il*/’dir. Bu nedenle Egrisi sakini, “*egr*” (is), Gürcüce m-egr-el-i, Megrelce’de ise *m-arg-al-i* şeklindedir.

Yunanca’nın morfolojisine göre, uzaya (kosmos) giden – kosmonavt; yıldızlara seyahat eden – astronavt; su fenomenini inceleyen ise akvana-

³ Abuladze (1999), s. 128.

⁴ G. Hazai, “Ein kyrillischer Transkriptionstext des Osmanisch-Türkischen”. *Восточная филология*, III, Тб., 1973, s. 266.

vt'ır. Altın yapađı postu aramak iin Arg lkesine giden –Αργοναυτες- argonaut (argo gemicisi) olarak ıkmaktadır. Kolhların bulunma yerleri olan -arg- adına ναυτες eklenmektedir. S. Cikia'nın, Yunanca "Argo" ve "Argonavt" szcklerinin kkenini eski Kolhid yer adından (egr-is-i/agr-is-i//arg-is-i) aldıklarına iliřkin ıkarımı dikkate deđer tespittir. Byle tahminde ilk nce akademi yesi ř. Nutsubidze, Prof. A.Uruřadze, akademi yesi T. Gamkrelidze bulunmuřlardır.

Bilindiđi zere, "Milli tarihin đrenilmesi adına dođu halklarıyla dođrudan sistematik temas dođu kaynaklarının arařtırılmasının gerekliliđini zorunlu kılmıřtır."⁵ Bu amala İstanbula'da bulunduđu sıralarda S. S. Cikia Osmanlı kroniklerini ve cođrafya zerine alıřmaları incelemiřtir. Cikia, sz konusu alıřmaların yayınlanması iřine 1940'lı yıllarda giriřmiřtir. Ayrıca, "İbrahim Peevi Grcistan'a Dair", "Didi Mouravi/Ulu Hakan (G. Saakadze)'nin Trkiye'deki Yařamına İliřkin Bilgiler", "Trk Sultanından Mouravi'ye Ferman", "16. Yzyıl Grc Tarihinden Bir Epizot", "1588-1590 Yılları Grc-Trk İliřkileri Tarihinden", "Odiř'in Politik Tarihinden Bir Epizot" ...vb. alıřmalar da Cikia tarafından kaleme alınmıřtır. Yukarıda belirtilen yayınlar objektif verileriyle 16.-17. yzyıllara dair Grc Tarihbilimini zenginleřtirmiřtir. Bu yayınlarda Grc tarihinin sosyal, ekonomik, politik sorunları incelenmiř, Kartlı Kralı Simon, Georgi Saakadze, Levan ve Vameh Dadiani, İmereti Kralları Aleksandr ve Solomon ve diđer politik yetkililerin ncelikli faaliyetlerinin ařamaları ortaya konmuřtur.

1960 yılında Sovyet Grcistan Bilimler Akademisinin başkanlıđında Grc Tarihini Yabancı Kaynaklardan İnceleme Komisyonu kurulmuřtur, bu komisyon 1974 yılında Grc Tarihinin Kaynakları Komisyonu adını almıřtır. S. Cikia, Trke kaynaklar serisinin redaktrlđn yapmıřtır. 1964 yılında bu kaynaklar serisi arasından S. S. Cikia'nın "*İbrahim Peev'i'nin Grcistan ve Kafkasya'ya Dair Bilgileri*" adlı yapıtı yayımlanmıřtır. Kitapta Peev'i'nin Grcistan ve Kafkasya hakkında iki ciltlik 16. Yzyıl Osmanlı Tarihi'nden veriler toplanmıřtır. Gney Grcistan ilelerinin Osmanlı tarafından fethi detaylı olarak aıklanmıřtır. Trke metne, Grcce eviri nsz ve aıklamalar eřliđinde eklenmiřtir. Ortaađ Grcistan'ın

⁵ Б. И. Заходер (1958). "Изучение в Советском Союзе восточных источников по истории стран Восточной и Центральной Европы" (Merkezi ve Dođu Avrupa Tarihine Dair Sovyet Birliđi'ndeki Dođu Kaynaklarının İncelenmesi), "Советское востоковедение", № 1.

politik tarihinde aydınlığa kavuşmamış olguları içeren bu çalışmasıyla S. S. Cikia Gürcü tarihbilimini zenginleştirmiştir. Sovyet ve Avrupalı oryantalistler söz konusu çalışmanın yetkinliğini dile getirmişlerdir.

Türk anlatı kaynakları ve tarihi belgeler Osmanlı Devleti'nin fethettiği yerlerdeki halkların tarihine ilişkin birinci dereceden önem arz eden kaynaklar durumundadır. Bunlardan bir çoğu Siakat hatlı olup Divan'dan çıkan zorlu yazımları, kodlarının çözülmesindeki güçlüklerle dikkati çekmektedir. Sovyet ortaçağ uzmanı A. S. Tveritina bu olguya, “Osmanlıca dokümanların çevirisi ve okunması çalışmanın en zor tarafını oluşturduğundan bir çok tarihçiyi korkutmaktadır”⁶ ifadesiyle dikkat çekmektedir. Gürcü tarihbilimi, S. S. Cikia sayesinde folklor, tarihî-edebî belge niteliğindeki materyaller yardımıyla filigran⁷ kesinliğiyle çözümlenmiş yazılı belgelere, Osmanlı arşiv materyallerine sahiptir. Cikia Osmanlı Sultanları, paşaları, seraskerleri ve kadınları hakkında ilk bilimsel çalışmayı yapan bilim insanıdır.⁸ Cikia, ayrıntılı yorumlarıyla çevirileri donatmıştır. Yorumlarında tarihî şahsiyetleri, yer isimlerini, sosyo-ekonomik kavramları ve olayları tanımlamak ve yorumlamakla sınırlı kalmayıp bunların diplomatik, paleografik açıdan ayrıca kapsamlı analizlerini vermekte ve dilsel özelliklerini ortaya koymaktadır.

